კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის

განკარგულება

№ 127. 13 „" მარტი 2012წ.

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს მთავრობის 2011 წლის 27 დეკემბრის №497 დადგენილებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დებულების მე–4 მუხლის მე–2 პუნქტის „კ" ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში სტაჟირების გავლის თანდართული წესი.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N6. მე-12 კილომეტრი), მისი ოფიციალურად გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ტ.ურჯუმელაშვილი

სსიპ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
LEPL COMPETITION AND STATE PROCUREMENT AGENCY
204428510

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში
სტაჟირების გავლის წესი

თავი I
ზოგადი დებულებები

მუხლი 1.

1. ეს წესი განსაზღვრავს კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში (შემდგომში - სააგენტო) სტაჟირების გავლის წესსა და პირობებს.

2. სტაჟირება მიზნად ისახავს წარმატებული და მიზანდასახული ახალგაზრდებისათვის სააგენტოში მუშაობის სურვილის გაღვივებას, მათთვის ღირებული პრაქტიკული ცოდნისა და სამუშაო გამოცდილების მიცემას, დამოუკიდებლად მუშაობისა და შემოქმედებითი ინიციატივის გამოვლენის პირობების შექმნას, კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სფეროში მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას.

3. სააგენტო სტაჟიორს უქმნის სათანადო პირობებს პროფესიული უნარ-ჩვევებისა და პრაქტიკული გამოცდილების შესაძენად.

მუხლი 2.

1. სტაჟიორი არის პირი, რომელიც ამ წესით დადგენილი პირობების შესაბამისად სააგენტოში გადის სტაჟირებას.

2. სტაჟიორთა რაოდენობას ყოველწლიურად განსაზღვრავს სააგენტოს თავმჯდომარე.

3. სტაჟიორს შესაძლებელია მიეცეს შესაბამისი ანაზღაურება.

თავი II
სტაჟირების გავლის კომისია

მუხლი 3.

სტაჟიორთა მიღებისა და სტაჟირების პროცესზე ზედამხედველობის მიზნით სააგენტოში იქმნება სტაჟირების გავლის კომისია (შემდგომში – კომისია), რომლის შემადგენლობას განსაზღვრავს სააგენტოს თავმჯდომარე.

მუხლი 4.

1. კომისია შედგება თავმჯდომარის, კომისიის წევრებისა და კომისიის მდივნისაგან.

2. კომისიის შემადგენლობაში შეიძლება შედიოდნენ როგორც სააგენტოს თანამშრომლები, ისე არასამთავრობო და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

მუხლი 5.

1. კომისიის წევრებს შორის უფლება-მოვალეობებს ანაწილებს და კომისიის მუშაობის რეჟიმს განსაზღვრავს კომისიის თავმჯდომარე. კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობებს თავმჯდომარის დავალებით ასრულებს კომისიის ერთ-ერთი წევრი.

2. კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი.

3. კომისიის სხდომაზე გადაწყვეტილება მიიღება კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

4. კომისიის სხდომა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე, კომისიის დამსწრე წევრები და მდივანი.

თავი III
კონკურსი

მუხლი 6.

1. სააგენტოში სტაჟიორების მიღება წარმოებს კონკურსის წესით.

2. კონკურსი ტარდება ერთ ეტაპად, გასაუბრების ფორმით.

3. განსაკუთრებულ შემთხვევებში სტაჟიორის მიღება შეიძლება სააგენტოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, კონკურსის გავლის გარეშე.

მუხლი 7.

1. სტაჟიორთა კონკურსში მონაწილეობის მისაღებად სტაჟირების გავლის მსურველმა სააგენტოში უნდა წარადგინოს:

ა) მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ბ) CV;

გ) დადგენილი ფორმით შევსებული აპლიკაცია (დანართი №1);

დ) ფოტოსურათი (3X4).

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საბუთები სააგენტოში შეიძლება წარდგენილ იქნეს როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით.

3. სტაჟიორთა კონკურსში მონაწილეობის მისაღებად სტაჟირების გავლის მსურველთა საბუთების მიღება წარმოებს კონკურსის გამოცხადებიდან ორი კვირის ვადაში.

მუხლი 8.

1. საკონკურსო განცხადება ქვეყნდება სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე www.procurement.gov.ge. საკონკურსო განცხადების გამოქვეყნება დამატებით შესაძლებელია პრესის ან/და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების მეშვეობით.

2. კონკურსის ჩატარების შესახებ განცხადება უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

ა) სტაჟირების გავლის მსურველთათვის დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და სააგენტოში წარსადგენი საბუთების ნუსხას;

ბ) ინფორმაციას სტაჟირების გავლის მსურველთა მიერ საბუთების წარდგენის ადგილის, დროისა და ფორმის შესახებ;

გ) ინფორმაციას შრომის ანაზღაურების ოდენობის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

3. კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით დასაშვებია კონკურსის ჩატარების შესახებ სხვა სახის ინფორმაციის გამოქვეყნებაც.

4. კონკურსის ჩატარების დროს განსაზღვრავს სააგენტოს თავმჯდომარე. კონკურსი უნდა ჩატარდეს მისი გამოცხადებიდან არა უადრეს ორი კვირისა.

5. კონკურსის ჩატარების დრო და ადგილი ქვეყნდება სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე.

მუხლი 9.

1. ჩატარებული კონკურსის შედეგების გათვალისწინებით, საუკეთესო შედეგების მქონე სტაჟირების გავლის მსურველი (მსურველი) სააგენტოს თავმჯდომარის მიერ სტაჟიორად (სტაჟიორებად) ინიშნება და მასთან (მათთან) იდება შესაბამისი ხელშეკრულება (ანაზღაურებადი საქმიანობის შემთხვევაში).

2. კონკურსი ჩაშლილად ითვლება, თუ მასში მონაწილეობის მისაღებად არ იქნა წარდგენილი არცერთი სტაჟირების გავლის მსურველის საბუთები, კომისიის მიერ ვერ იქნა შერჩეული საუკეთესო შედეგების მქონე ვერც ერთი სტაჟირების გავლის მსურველი, ან კონკურსში საუკეთესო შედეგების მქონე ყველა სტაჟირების გავლის მსურველი უარს იტყვის სტაჟიორად დანიშვნაზე.

თავი IV
სტაჟირების ვადა

მუხლი 10.

1. სტაჟირების ვადა განისაზღვრება არაუმეტეს 6 თვით. სააგენტოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს თითო ჯერზე არაუმეტეს 6 თვით.

2. სტაჟირების ვადა ითვლება საერთო შრომით სტაჟში.

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2013 წლის 29 აპრილის №233 განკარგულება

მუხლი 11.

1. სტაჟირების ვადაზე ადრე შეწყვეტის საფუძველი შეიძლება გახდეს:

ა) პირადი განცხადება;

ბ) სტაჟირების პერიოდში არასაპატიო მიზეზით 5 დღის განმავლობაში სტაჟირების გავლის ადგილას გამოუცხადებლობა;

გ) დავალების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება;

დ) სტაჟიორის სააგენტოში ვაკანტურ თანამდებობაზე დანიშვნა;

ე) კანონმდებლობით ან/და ხელშეკრულებით განსაზვრული სხვა შემთხვევები.

2. სტაჟირების ვადაზე ადრე შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სააგენტოს თავმჯდომარე.

თავი V
სტაჟიორის უფლება-მოვალეობები

მუხლი 12.

1. სტაჟიორს სტაჟირების პერიოდში ენიშნება სტაჟირების ხელმძღვანელი, რომელიც მას განუსაზღვრავს სამუშაოს აღწერილობას.

2. სტაჟირების ხელმძღვანელი ვალდებულია სტაჟიორს მისცეს მიმართულება და განუსაზღვროს მას შესასრულებელი სამუშაოს კონკრეტული ვადა, მიაწოდოს აღნიშნულთან დაკავშირებით დროული და სწორი ინფორმაცია.

3. სტაჟირების ხელმძღვანელი პირადად აკონტროლებს სტაჟიორის მიერ გაწეულ მუშაობას, პერიოდულად აწვდის სასწავლო თემატიკას, აძლევს დავალებებს, კოორდინაციას უწევს სტაჟიორის საქმიანობას.

მუხლი 13.

სტაჟიორს უფლება აქვს სტაჟირების ხელმძღვანელის თანხმობით:

ა) გაეცნოს სააგენტოს შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფისა და მთლიანად სააგენტოს მუშაობის სპეციფიკას, კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა საკითხზე გადაწყვეტილებების მომზადების პროცესში და სათანადო დოკუმენტების შედგენაში და გამოიყენოს სააგენტოს თანამშრომელთა კვალიფიციური ცოდნა დაკისრებული მოვალეობების შესრულებისას;

ბ) გაეცნოს სამსახურებრივ დოკუმენტაციას (საარქივო მასალებს), ისარგებლოს სათანადო ინფორმაციით (ელექტრონული საშუალებებით და სხვა), თუ ეს არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს;

გ) დაესწროს და მონაწილეობა მიიღოს სააგენტოს მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში.

მუხლი 14.

1. სტაჟიორი ვალდებულია:

ა) გაეცნოს და იხელმძღვანელოს სააგენტოს საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობით;

ბ) დადგენილ ვადებში შეასრულოს ყველა ის დავალება, რომელიც მას დაეკისრება სტაჟირების

ხელმძღვანელის მიერ;

2. სტაჟიორი ვალდებულია დაიცვას სააგენტოს შინაგანაწესით დადგენილი მოთხოვნები სტაჟირების თავისებურებათა გათვალისწინებით.

თავი VI
სტაჟიორთა მიერ სტაჟირების პერიოდში შეძენილი თეორიული და პრაქტიკული გამოცდილების შემოწმება

მუხლი 15.

1. სტაჟირების ვადის გასვლის შემდეგ კომისია გონივრულ ვადაში ახდენს სტაჟიორის შეფასებას მასთან გასაუბრების გზით. გასაუბრებისას შეიძლება გათვალისწინებულ იქნას სტაჟირების ხელმძღვანელის აზრი.

2. გასაუბრებას შეიძლება დაესწროს სტაჟირების ხელმძღვნალი.

3. სტაჟირების ვადის გასვლის შემდეგ სტაჟიორს ეძლევა სტაჟირების გავლის დამადასტურებელი მოწმობა (დანართი №2).

აპლიკაციის ფორმა

1. სახელი, გვარი _____
2. დაბადების ადგილი, თარიღი _____
3. მოქალაქეობა _____
4. პირადობის მოწმობის ნომერი _____
5. ოჯახური მდგომარეობა _____
6. საცხოვრებელი ადგილის მისამართი, მობილური ტელეფონი, ელ-ფოსტა:

_____

_____

7. განათლება (მიუთითეთ როდის და რომელი სასწავლებელი დაამთავრეთ)

როდიდან	როდემდე	სასწავლებელი	ფაკულტეტი

8. სპეციალობა, კვალიფიკაცია (დიპლომის მიხედვით) და დიპლომის №:

სპეციალობა	კვალიფიკაცია	დიპლომის №

9. ამჟამად სწავლობთ თუ არა (მიუთითეთ როდიდან, სასწავლებელი და ფაკულტეტი):

_____

10. უცხო ენები, (მიუთითეთ რომელ უცხო ენას ფლობთ და რა დონეზე):

უცხო ენები	ცოდნის დონე			
	სუსტად	საშუალოდ	კარგად	ძალიან კარგად
	სუსტად	საშუალოდ	კარგად	ძალიან კარგად
	სუსტად	საშუალოდ	კარგად	ძალიან კარგად
	სუსტად	საშუალოდ	კარგად	ძალიან კარგად
	სუსტად	საშუალოდ	კარგად	ძალიან კარგად

11. კომპიუტერული პროგრამების ცოდნა (მიუთითეთ, რომელი პროგრამები იცით):

პროგრამები	ცოდნის დონე			
	სუსტად	საშუალოდ	კარგად	ძალიან კარგად
	სუსტად	საშუალოდ	კარგად	ძალიან კარგად
	სუსტად	საშუალოდ	კარგად	ძალიან კარგად
	სუსტად	საშუალოდ	კარგად	ძალიან კარგად
	სუსტად	საშუალოდ	კარგად	ძალიან კარგად

12. ხართ თუ არა საზღვარგარეთ ნამყოფი კვალიფიკაციის ამაღლების ან სხვა პროფესიული მიზნით: სად, როდის?

_____

_____

13. შენიშვნები:

_____

შევსების თარიღი _____

პირადი ხელმოწერა _____

სსიპ –კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

სტაჟირების გავლის დამადასტურებელი
მოწმობა

გადაეცა

_____
(სახელი, გვარი)

მასზე, რომ მან 20 წლის „ „ _____ დან 20 წლის „ „ _____ მდე

გაიარა სტაჟირება სსიპ – კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში

_____

თარიღი „ „ _____ 20 წ.

_____

სააგენტოს თავმჯდომარე

მოწმობა გაცემულია სსიპ – კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ